

ლაგოდეხის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ოქმი № 2

10.05.2022წ.

ქ.ლაგოდეხი

სხდომას ესწრებოდნენ:

საბჭოს სხდომის თავმჯდომარე: გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: შორენა ხაჩიაშვილი

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები(რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

დღის წესრიგი:

1. მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2023წწ. სამოქმედო გეგმის პროექტის შესახებ.

/მომხს:შ. ხაჩიაშვილი/

2.სხვადასხვა.

მოისმინეს:

1. მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2023წწ. სამოქმედო გეგმის პროექტის შესახებ.

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა წარმოადგინეს სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით რეკომენდაციები და წინადადებები. გამოითქვა სურვილი გენდერულ თემატიკაზე მომუშავე სხვადასხვა ორგანიზაციებთან და ფონდებთან ურთიერთობის და პროდუქტიული თანამშრომლობის სურვილი.

ევა ლომთაძემ წამოაყენა წინადადება, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტირებისა და ბიუჯეტის შესრულების განხილვაში გენდერული თანასწორობის საბჭოს აქტიური ჩართულობის შესახებ. მისი აზრით, ჯერ საბჭომ უნდა განიხილოს რიგი საკითხები და შემდეგ გავიდეს საკრებულოსა თუ სხვა ინსტიტუტების სხდომებზე განსახილველად.

გურამ გოგოლაძემ გამოთქვა სურვილი, სპორტულ ღონისძიებებში შშმ პირთა ჩართვის შესახებ. მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერის შემთხვევაში, შესაძლებელია გრანტის მოპოვება და ადაპტირებული სივრცის შექმნა სხვადასხვა სპორტული ღონისძიებებისთვის.

თამარ მუმლაძემ ყურადღება გაამახვილა სოციალურად დაუცველ პირთა სასაძილოსთან მოწყობილი ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების შესახებ. კონკრეტული სერვისის თაობაზე


საზოგადოების ინფორმირების პროცესში გენდერული თანასწორობის საბჭოს ჩართვა მიზანშეწონილი იქნება.

ეკა ლევიაშვილი შემოვიდა წინადადებით, მთელი რიგი მუნიციპალური და სხვა სერვისების მიწოდების გაუმჯობესების მიზნით, დაიგეგმოს პრაქტიკა საჭიროებების გამოვლენისა და გენდერული თანასწორობის საბჭომ მომსახურების გაუმჯობესების თაობაზე რეკომენდაციით მიმართოს სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებს.

საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, სამოქმედო გეგმა ზემოთ აღნიშნული წინადადებების და რეკომენდაციების გათვალისწინებით, წარუდგინონ საკრებულოს დასამტკიცებლად.

გენდერული თანასწორობის საბჭოს
თავმჯდომარე:

გენდერული თანასწორობის საბჭოს
მდივანი:



/კ. ჯამბურია/

/თ. მუმლაძე/